# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 130. ხუთშაბათი, 26 ივნისი 1903 წ. გაზეთის № 2192.



3 მანეთი და 50 კაპ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივლისიდან წლის დამლევამდე.


# გაცრუებული

ჩეხოვისა

სალამო ჟამი იყო. მთელი ქუჩა განათებული იყო ელექტრონის სინათლით, რაიცა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზედ. ხეები, რომელთაც ნელი ნიავი არხევდა, თითქოს რაღაცას შესჩურჩულებდნენ ერთმანეთს. სალამო იყო საოცარი, ერთი იმ ზაფხულის სალამოთაგანი, როდესაც კაცი ყველაფერს ივიწყებს და ეძლევა ბუნების სიმშვენიერეზედ ოცნებას. ერთის სახლის სარკმელთან იჯდა ყმაწვილი ქალი, მთლად გატაცებული ამ სალამოს სიმშვენიერეზედ ფიქრით. ოთახში ლამფა არ ენთო. ქუჩიდან ელექტრონის სინათლე ისე მკრთლად ანათებდა ოთახს, რომ ნახევრად სიბნელე იდგა, რომლის დროსაც ასე სასიამოვნოა ხოლმე ოცნება. კარების ჭრიალმა გამოარკვია ყმაწვილი ქალი. შემოსვლისათანავე მოახლემ გადასცა წერილი და თან დასძინა:

— მეეზოვემ ეს არის ეხლა მოიტანა.

— შეგიძლიანთ წახვიდეთ! — უთხრა ქალმა წერილის ჩამორთმევის შემდეგ. — პავლესაგან არის. — სთქვა ყმაწვილმა ქალმა, შეხედა-რა ნაწერს. — უეჭველია მატყობინებს მოსვლის დღეს.

„ჩემო ღვთაებავ, სოფიო!“ — დაიწყო ხმა მაღლა ყმაწვილმა ქალმა: „მომიტევე, რომ არ შემიძლიან ასრულება შენის, ან უკეთ რომ ვსთქვა, ჩვენის საერთო წადილისა: მოვიდე შენ სანახავად. ეხლა ისეთი საქმეები გამიჩნდა, რომ გადადება არ შემიძლიან. ამ დღეებში სისხლის სამართლის საქმეები ირჩევა და თვით მე ვარ მოვალე დავიცვა. მერწმუნე, ჩემო დაუვიწყარო, რომ ჩვენი დაშორება ჩემთვის უფრო სამძიმოა. ერთი დღე უშენოდ მთელ საუკუნეთ მეჩვენება, მაგრამ უნდა დავმორჩილდეთ ბედს. შენის კარგად მყოფობისათვის ავიტან ყოველ მსხვერპლს. განაგრძე წამლობა, ეცადე მალე მორჩენას და მეც, როდესაც გაუთავდება ვადა შენს ბანაობას ზღვაში, მოვალ ჩემის ანგელოზისათვის.“

„დიახ, მოვრჩები!“ გაიფიქრა წერილის დათავებისას. „არას დროს არ მოვრჩები, თუ ასე მოწყენით ვიქნები. თითქმის თვეა, რაც ის არ მინახავს. დიახ, უფრო ავად გავხდები, თუ მალე არა ვნახავ ჩემს პავლუშას. სიცრუეა, კარგადა ვარ, ექიმებმა გამოიგონეს, რომ ვითომ ავადა ვარ და რომ ჩემთვის საჭიროა ზღვის ჰავა, ზღვაში ბანაობა. არა, არ შემიძლიან ასე დიდხანს ტანჯვა, უნდა ვნახო და თუ იმას არ შეუძლიან მოსვლა, მე წავალ რამდენისამე დღით სახლში, შემდეგ-კი ისევ დავბრუნდები წამლობის განსაგრძობად. როგორ გაუხარდება, როდესაც დამინახავს! დღესვე შემიძლიან გასვლა. მივალ მოულოდნელად.“

ქალმა საჩქაროდ ჩაიცვა სამგზავრო ტანთსაცმელი და მოუხმო მოახლეს:

— უთხარ სახლის პატრონს, რომ მე რამდენისამე დღით მივდივარ. ყველაფერს აქა ვტოვებ, ოთახი ჩემზედ იქნება.

უბარგოთ სოფი პეტროვნა ხელად ვაგონში გაჩნდა და მოუთმენლად ელოდა მატარებლის დაძვრას. ეს დრო ისე ხანგრძლივი ეჩვენა, რომ უნებურად ეჭვი შეეპარა ორთქლმავლის უვარგისობაზედ, თუმცა მატარებელი ელვის სისწრაფით მიჰქროდა. ქალს დაავიწყდა წიგნის წამოღება, რომ გართულიყო. სარკმლიდან ცქერა მოსწყინდა და ღრმად ჩაფიქრდა. ფიქრს მიეცა. მოაგონდა ის დრო, როცა გასათხოვარი იყო, მამასთან სცხოვრობდა და მდიდარ საპატარძლოთ ითვლებოდა. ეშინოდა, ანგარიშით არავინ შეერთო იგი. თითქმის ყველა იმის საქმრო მამასთან ლაპარაკში, თუმცა ფრთხილად, მაგრამ მაინც შეეხებოდა ხოლმე ფულს, ესე იგი მზითევს. როგორ სწყინდა, როცა გაიგებდა ამას, რამდენ ცრემლს ჰღვრიდა ხოლმე იმათის წყალობით. გადასწყვიტა კიდეც არას დროს არ გათხოვილიყო, არ ერწმუნა არავისი ფიცი სიყვარულზედ. ეს აზრი, როგორც დარწმუნდა, საფუძვლიანი იყო.



დედოფალი დრაგა და იმისი დები.

მაგრამ, აი შეჰხვდა ერთხელ ბალში ნაფიც ვექილს ბაიარინოვს, რომელმაც იმათ სახლში სიარული დაიწყო. პირველ ხანს იმასაც ეჭვის თვალით უყურებდა, იმასაც თავის სიმდიდრის მაძიებლად სთვლიდა. ბოლოს იჭვები გაეფანტა და ვაჟმა კიდეც შეიპყრო იმისი გული. ეს მაშინ მოხდა, როდესაც იმათი საერთო ნაცნობი დაქორწილდა ანგარიშით. როგორის ზიზღით იხსენიებდა ნაფიცი ვექილი ამ ქორწილს, როგორი გულწრფელი იყო იმისი ხმა!?

ახსოვს იმისი სიტყვები: „კაცი, რომელიც ცოლს ანგარიშით ირთავს, ესე იგი ჰყიდის თავის თავს ფულზედ, სისაძაგლესა შვრება, იმას უფლება აღარა აქვს კაცად იწოდებოდეს. ქორწინება მართლდება მარტო სიყვარულით. ქორწინება ნიშანია სიყვარულისა. ფული შეურაცხყოფს წმინდა კავშირს!“ ამისთანა ამბავს ხშირად მოუყვებოდა ხოლმე. ამგვარმა ლაპარაკმა დაარწმუნა, რომ

იგი კარგი კაცია. ქალმა შეიყვარა და მალე დაიწერეს ჯვარი. ფულზე ძალიან შორს ეჭირა თავი. იქიდანაცა სჩანს ეს, რომ საშინელ შეურაცხყოფად მიიღო იმან, როდესაც ქალმა უთხრა, მზითევი, რომელიც მამა ჩემმა თავის ნებით მომცა, შენ სახელზე შეიტანე ბანკშიო. ბოლოს, რამდენისამე თვის ხვეწნის შემდეგ, ძლივს დაიყოლია. ბოლომდის ასე გულ წრფელად ეპყრობოდა, ამასთან როგორ ენდობოდა და აღმერთებდა!.. არავინ და არაფერი არ აინტერესებდა იმას იმ დროს, როდესაც ცოლთან იყო. განუსაზღვრელად მადლობელია თავის ბედისა, რომელმაც გამოუგზავნა ამისთანა სამაგალითო ამხანაგი ცხოვრებისა. ჰგრძნობს თავის თავს ბედნიერად, ჰსურს ყველანი იმასავით მადლიერნი და ბედნიერნი იყვნენ. ასეა ხოლმე, როდესაც კაცს ბედი უხვად დააჯილდოვებს ყველაფრით.

ბოლოს ქალს აზრები აერივდაერია მოღალულ თავში და მიეძინა.

— პეტერბურგი!—გაისმა კონდუქტორის ხმა, შემდეგ კი გულის გამგმირავი სტვენა ორთქლმავალისა, რომელმაც გამოაღვიძა სოფია პეტროვნა.



სერბიის მეფე პეტრე I.

გ. ველმიროვიჩი, მიმლოცველ დეპუტაციის პრეზიდენტი.

სერბიის დეპუტაცია ჟენევაში.

გამოვიდა ვაგონიდან, დაიჭირა მეეტლე და გაუდგა შინისკენ გზას. იმის შიშით, რომ არავინ შენიშნოს და არ მიუტანოს ქმარს ამბავი, პირისახე სქელის პირსაბურით დაიფარა. ზარის დარეკვის უმალ გამოვიდა კარის კაცი, რომელიც გაკვირვებული დარჩა ქალბატონის მოულოდნელ მოსვლაზედ. იმას უნდოდა აერბინა ზემოდ და ბატონისთვის ეხარებინა, მაგრამ დიასახლისმა შეაყენა:

— საით, სვიმონ?

— ბატონს შევატყობინებ.

— არ უნდა, არავის უთხრა, რომ მე მოვედი, ბატონსაც-კი. ადგილს დაჰკარგავ, თუ რომ წამოგცდება რამე!



სასახლე, სადაც მოჰკლეს სერბიის მეფე-დედოფალი. შენობის შუა, აივნის მარცხნივ პირველ ფანჯრიდან გადმოაგდეს დედოფლის გვამი.

— მაშა შინ არის?

— არავინ არ არის... თქვენ ხომ არ მოგელოდით და ბატონმა დაითხოვა ყველანი!—თითქოს ამართლებდა თავის თანამშრომელთ კარის კაცი. მოაგონდა რომ დღეს კვირაა.

— ბატონი კი შინ არის?

— შინ და...

— არამც და არამც არა უთხრა რა!—გააწყვეტინა სოფი პეტროვნამ ზემოდ ასვლის დროს. იმას კი უნდოდა ეთქვა, რომ ბატონს სტუმარი ჰყავსო, მაგრამ ქალბატონი ისეთი მკაცრი იყო, რომ შეეშინდა.

ყმაწვილი ქალი ძრიელ ფრთხილად მიდიოდა ერთი ოთახიდან მეორეში. ბოლოს მიახწია თავის საწოლ ოთახს, რათა გამოეცვალა ტანისამოსი და შემდეგ მოულოდნელად შესულიყო კაბინეტში, სადაც იმისი პავლუშა იჯდა და უეჭველია, ქაღალდებს ათვალიერებდა. გაოცდება, ზარის წკარუნს ხომ ვერც კი გაიგებდა, რადგან ზემოდ სრულიად არ ისმის ზარის ხმა. ქალმა კი ძალიან ფრთხილად დარეკა ზარი.

საპირფარეშო ოთახში შესვლისათანავე, გაჰკვირდა, როდესაც დაინახა ნახევრად გაღებულ კაბინეტის კარებიდან შემოსული სინათლე. კარები იმის აქ ყოფნის დროს დაკეტილი იყო ხოლმე და ფარდა ჩამოფარებული. გააოცა როგორც ამ ცვლილებამ, ისე ავეჯების ადგილების შეცვლამ; ეტყობოდა, ასე ჩქარა არ მოელოდნენ იმის მოსვლას. უნდოდა აგრეთვე ჩუმად გაევლო კაბინეტში, მაგრამ ყური მოჰკრა უცხო ხმას, რომელიც ქმარს ლაპარაკს აწყვეტინებდა. „უცხო კაცია ეხლა იმასთან, წამოვწვები პატარა ხანს დივანზედ, ვიდრე წავა“, გაიფიქრა იმან.

კაბინეტში ისე ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ, რომ ქალმა თვის-და-უნებურად დაწვრილებით გაიგონა ყველაფერი, რასაც ხთქვეს.

— მართლაც შენ საკმაოდ ცუდად გაები, ძვირფასო სერგეი. მიამბე დაწვრილებით, როგორ მოხდა, ძალიან საინტერესოა.



სერბიის დედოფლის დ რ ა გ ა ს სალონი.

— მერე, ყურს არავინ დაგვიგდებს, მოსამსახურე, მაგალითად? შენ არ იცი, რომ ჩვეულებად აქვთ ამისთანა ხალხს ყურის გდება.

— სახლში არავინ არა ჰქანებს, ყრუ კარის კაცი კი ქვემოდ არის.

— მართლა, როდის მოვა შენი ცოლი? მინდოდა იმისი გაცნობა.

— ვერ მოასწრებ, ის ჩამოვა ექვსის კვირის შემდეგ, მიამბე.

ამ ლაპარაკის დროს სოფი პეტროვნას უნდოდა კაბინეტში შესვლა, მაგრამ გადასწყვიტა, უმოწმებოდ შეჰხვედროდა ქმარს.

მეთხოვნა, მაგრამ თანაც მეშინოდა სხვას არავის დაესწრო ჩემთვის. კარგი ის იყო, რომ ვამშვიდებდი ჩემს თავს, ქალს ვუყვარვარ-მეთქი. ბოლოს ბედმა გამიღიმა: შემეძლო მეთამაშნა როლი ძლიერ შეყვარებულისა, ტანჯულისა და სხვა და სხვა. სანამ ქალისაგან თანხმობას მივიღებდი. ქორწილის შემდეგ წაველი რწმუნებულის ქაღალდით სამკვიდროს მისაღებად და



საწოლი ოთახი სერბიის მეფე დედოფლისა, მათი მოკვლის შემდეგ.



ბუდუარი დედოფალი დრაგასი, მისი მოკვლის შემდეგ.

— მაშ აი, გიამბობ დაწვრილებით,—დაიწყო სტუმარმა.— ივანოვის სახლში ძალიან ხშირად დავდიოდი, მაგრამ არას დროს აზრად არ მომსვლია იმის ქალს გავვარშიყებოდი, რადგან უმზითვო იყო. თუმცა ქალი ღირსიც იყო ყურადღებისა, მაგრამ იქ, სადაც სიყვარული ქორწინებით უნდა გათავდეს, თითქმის ყურს არ ვუგდებ ქალის ღირსებას. ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ვფრთხილობ. იმას კი შევუყვარდი საკმაოდ, რაც კიდეც დაეტყო იმის ჯანმრთელობას. მე თითქმის არც კი ვაქცევდი ყურადღებას. დასასრულ მომწყინდა ამდენი ოხვრა, მუდამ ჩემსკენ მომართული მწუხარე თვალები და შევსწყვიტე იმათსა სიარული. დიდხანს ვერ მოვითმინე, რადგან სხვაგან არსად შემეძლო ყოფნა, იქ კი სიხარულით მიღებდნენ და კარგად მაჭმევდნენ ხოლმე. მაშ ყური დამიგდე კარგად, რა ოინი გამოიგონა ჩემს წინააღმდეგ ბებერმა ივანოვმა. მივედი ერთხელ საღამოთი, ვხედავ, ყველანი როგორღაც მხიარულად არიან. თითქმის ყოველთვის მოწყენილი ქალიც კი ბრწყინავს რაღაც ბედნიერებით.

„— აა, სერგეი ნიკალაევიჩ! გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს სიხარულში! იცით, ჩვენმა მამამ სამკვიდრო მიიღო. ორმოცდაათი ათასი!

მითხრა ესა და განზე გამიყვანა. მაგრამ რა წამს შემატყო სახეზე ეჭვი, იმ წამსვე მაჩვენა ნოტარიუსის წერილი, რომელშიაც ამ სამკვიდროზე ეწერა. თავს-ბრუ დამასხა ამ ამბავმა. როგორ მოვქცეულიყავი... ხომ არ შემეძლო მაშინვე ხელი



პატარა ოთახი სერბიის მეფის სასახლეში. აქ მოკლეს სერბიის მეფე-დედოფალი. ლურსმანზე ჰკიდია დედოფლის კაბა.

ორმოცდა ათი ათასის მაგიერ ხუთი ათასი კი მივიღე. რა აღმოჩნდა? მამიდამ დაუტოვა ხუთი ათასი, ძმისწულმა კი, ბიძის თხოვნით, დააწერინა ნოტარიუსს ორმოცდა ათი ათასის ქაღალდი. შევშფოთდი, დავიწყე საჩივარი ძმისწულის წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლოში ჩემი ბერიკაცი ყველაფერში გამოტყდა და თავის თავზე მიიღო პასუხის გება. თავის გასამართლებლად ისა სთქვა, რაკი ვხედავდი ქალის ტანჯვასა და ვიცოდი, რომ იმის ბედნიერებას უშლიდა ხელს უფულობა, ვისარგებლე ამ სამკვიდროს ამბით და გადავწყვიტე ოინისთვის მიმემართნა. ამ ამბავმა საშინლად გააცინა საზოგადოება და მოსამართლენი. შემრცხვა, საჩქაროდ გამოვედი სასამართლოდან და საქმე არაფრით აღარ გათავდა. დავემუქრე მამას, ქალს მივატოვებ-მეთქი. ქალი კი მუხლ-მოდრეკით იდგა და მეხვეწებოდა, არ მიმენებებინა თავი. ბოლოს შევრიგდით, რადგან მამა შემპირდა ორი ათას მანეთს ყოველ წლობით.

— იცი,—გააწყვეტინა სტუმარს მასპინძელმა:—ამ ორის თვის წინად ნეფე გაიქცა გვირგვინ ქვეშიდან. შეჰპირდნენ ოცდა ხუთი ათასს. შეიკრიბნენ კიდეც სტუმრები, დედოფალი საქორწინო ტანისამოსში იყო თაიგულით ხელში, მაგრამ ნეფემ, რა შეიტყო იქვე, რომ ატყუებდნენ, როგორც იყო, ფრაკითა და ცილინდრით, ისე მოჰკურცხლა სადგურისაკენ. აი სასაცილო ისტორია, თუ

გნებავთ, ეს არის!—დაუმატა პაველ ივანიჩმა და თან ხმამაღლა გადიხარხარა.

— ყოჩაღ ნეფევ!—სიცილითა სთქვა სტუმარმა. — მეორედ აღარ შეჰპირდებიან ტყუილად მზითევს. ეცოდინებათ, რომ ნეფის დაკარგვა ჯვარის წერის დროსაც შეიძლება.

ნ. ენუქიძე

(დასასრული იქნება)

## სერბიის ახალი სამინისტრო.



მ. ავაკუმოვიჩი, საბჭოს პრეზიდენტი.



მაშინი, საზოგადო საქმეთა მინისტრი.



ველიკოვიჩი, ფინანსის მინისტრი.



ღენერ. ათანაცკოვიჩი, სამხედრო მინისტრი.



ვილკოვიჩი, იუსტიციის მინისტრი.



მ. პროტიჩი, შინაგან საქმეთა მინისტრი.



მ. სტოიანოვიჩი, სარწმუნოებათა მინისტრი.



მ. გენჩიჩი, სავაჭრო საქმეთა მინისტრი.

## გაჭირვებული მდგომარეობა




— არ ვიცი, ღმერთმანი, ლუდხანაში შევიდე, სამსახურში წავიდე თუ ამ უცნობ ქალს გავყვე.

## რესტორანში



რესტორანის პატრონი.

— მაგ მუშტარს კარგად ადევნე თვალ-ყური. ქისა გახსნა და თანაც ძალიან ამთქნარებს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 25 Іюня 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა ქიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.